

**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ  
ანგარიშის ფორმა**

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - მერაბ კვარაცხელია  
თანამდებობის დასახელება- ფრაქციის თავმჯდომარე  
ფრაქციის დასახელება \_ „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“  
კომისი(ებ)ის დასახელება - სოციალურ საკითხთა კომისია  
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)-N68 წალენჯიხის საარჩევნო ოლქი  
საანგარიშო პერიოდი -2015 წლის 01 ნოემბრიდან 2016 წლის 01 ნოემბრამდე.  
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

**1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 25  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება \_ 22

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა \_ 28  
კომისიის სხდომებზე დასწრება \_ 25

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 12  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება -12

**4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

- ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- ბ) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების თაობაზე“;
- გ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016–2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;

**5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:**

-

**6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 14 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 300**

**7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები**

- ა). ქ. წალენჯიხა - სასარიოს უბანში წყლის სისტემის მოწყობა.
- ბ) მიქავას თემი - გზის საფარის მოწყობა.
- გ) ჭალეს თემი - წყლის სისტემის მოწყობა.
- დ) ნაკიფუს თემი - ცენტრალური გზის ასფალტო - ბეტონის საფარის მოწყობა.

**8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)**

ნაკიფუს თემში ჭაბურღილის მოწყობა, ქ.ჯვარის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, ქალაქ წალენჯიხაში ცენტრალურ მოედანზე მწვანე საფარის მოწყობა , ქალაქ წალენჯიხაში მეუნარგიას ქუჩის და შესახვევის გზის ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა, გარე განათების მოწყობა ქუჩულორიას ქუჩაზე, ქიაჩელისა და შენგელიას ქუჩებზე რკინა-ბეტონის არხების მოწყობა, ქიაჩელისა და წერეთლის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობა, მიმდინარეობს ქ. წალენჯიხის სამუსიკო სკოლის ოთახების რეაბილიტაცია, ქ. წალენჯიხაში კვარაცხელიას,

სალიას, ჭურღლიას, რუსთაველის და გრანელის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსების ეზოების მოასფალტება და სხვა.

**II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემს საქმიანობას წარვმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

ფრაქციის სხდომები ტარდება რეგულარულად და ორგანიზებულად. განხილული საკითხები პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს. საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 12 სხდომა ფრაქციამ განიხილა საკითხები და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები წარედგინა საკრებულოს ბიუროს.

აქტიურად ვმონაწილეობ სოციალურ საკითხთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომების მუშაობაში. დავესწარი კომისიების მიერ ორგანიზებული 28 სხდომიდან 25 სხდომას.

ამასთან, რეგულარულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩევლებს და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს ვაყენებდი ფრაქციისა და საკრებულოს წინაშე. მოსახლეობის აზრის გათვალისწინებითა და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, დადებითად გადაიჭრა ბევრი საკითხი.

შევსების თარიღი- 31.10.2016წ.

წარდგენის თარიღი \_31.10.2016 წ.

ხელის მოწერა \_\_\_\_\_

